

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„გ ა მ ტ კ ი ც ე ჯ“

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყიშვილი

ზურაბ ზუცხრიკიძე

„19 05“ 2015 წელი

ეგზ. №1

საჩხერის მუნიციპალიტეტის

2013-2014 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის

ანგარიში აქტ 34/00

2015 წელი

შინაარსი

აუდიტის ძირითადი მიზანი.....	4
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	4
საჩხერის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა	5
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმოხილვა.....	6
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	10
ინფრასტრუქტურული პროექტები	10
სავანე-არგვეთი-მახათაურის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.....	10
ქალაქ საჩხერეში გზების მშენებლობა	12
საბავშვო ბაღების მშენებლობა	13
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანების შესრულება	16
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	18
„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“	20
წყლის სისტემების მოსაწყობად შეძენილი მიწების გამოყენება.....	20
სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოების შესრულება	22
დაუსრულებელი პროექტები	22
სოფელ მერჯევის საბავშვო ბაღის მშენებლობა.....	22
სოფელ სავანის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია.....	24
სოციალური დახმარებები	24
ქარგილებისათვის გამოყენებული ხის მასალა	26
საწარმოების სუბსიდიით დაფინანსება	26
<i>მუნიციპალიტეტის შპს-ების დაფინანსება.....</i>	<i>27</i>
<i>მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების დაფინანსება.....</i>	<i>27</i>
გადახდილი დღგ	28
საკრებულოს დეპუტატების ანაზღაურება	29
შრომის ანაზღაურება და საკადრო პოლიტიკა.....	30
საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა.....	31
საჯარიმო თანხების გადახდა.....	32
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	32
საკრებულოს თავმჯდომარის ავტომობილი	32
მუნიციპალიტეტის მიერ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარება	33

წარმომადგენლობითი ხარჯები.....	34
საახალწლო ილუმინაციების მოწყობის სამუშაოები.....	35
მასმედია და ჟურნალ-გაზეთების შეძენა.....	35
უსასყიდლოდ მიღებული და გამოუყენებელი გაბიონის მავთულბადე.....	37
დაუსაბუთებლად გაანგარიშებული ღირებულება.....	37
დაგვა-დასუფთავების მომსახურება.....	37
არასაფროთხისშემცველი ნარჩენების გატანა.....	38
გარე განათების მომსახურება.....	39
აუდიტის დასკვნა.....	40
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	41
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.....	41

აუდიტის ძირითადი მიზანი

აუდიტის ძირითადი მიზანია საჩხერის მუნიციპალიტეტის მიერ 2013-2014 წლებში გაწეული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობაზე დასაბუთებული რწმუნების მოპოვება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ორგანიზაციაში იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა და ზედამხედველობა, რომ საჩხერის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. გარდა ამისა, ხელმძღვანელი პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის ნორმების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა საჩხერის მუნიციპალიტეტის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

საჩხერის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა

საჩხერის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“¹, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა 2015 წლის 1 იანვრის მონაცემებით, შეადგენს 48.1 ათას კაცს². მუნიციპალიტეტი აერთიანებს 13 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს, რომელიც მოიცავს ქალაქ საჩხერესა და 12 თემს.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს მიეკუთვნება:

- საბიუჯეტო პროცესის განხორციელება, საბიუჯეტო ურთიერთობა და პასუხისმგებლობა;
- ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებით, წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია;
- სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- ადმინისტრაციულ ერთეულში სოციალურად დაუცველი პირების აღრიცხვა და სხვ.

¹ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიდან მოქმედებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, ხოლო არჩევნებამდე მოქმედებდა ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“.

² www.geostat.ge-ს მონაცემებით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმოხილვა

საჩხერის თვითმმართველ ერთეულს თავის უფლებამოსილებათა განსახორციელებლად გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი. ადგილობრივი ბიუჯეტის დამოუკიდებლობა გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებითა და გადასახდელების დამოუკიდებლად გაწევის შესაძლებლობით, რაც განსაზღვრულია „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“.

ბიუჯეტის შემოსულობები მოიცავს ადგილობრივ გადასახადებსა და მოსაკრებლებს, ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციებიდან მიღებულ სახსრებს, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ტრანსფერებს და სხვა შემოსულობებს.

შემოსულობები

საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2013-2014 წლებში ბიუჯეტის შემოსულობები ხასიათდება ზრდის ტენდენციით. სულ შემოსულობებმა შეადგინა 23282.7 ათასი ლარი. შემოსულობების 99,6% უჭირავს შემოსავლებს, ხოლო 0,4% წარმოადგენს არაფინანსური აქტივების კლებას. წლების მიხედვით აღნიშნული მონაცემები წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:

ცხრილი 1. 2013-2014 წლის შემოსულობები


ათასი ლარი

დასახელება	2013 წელი	2014 წელი	სულ
შემოსულობები	10395.8	12886.9	23282.7
<u>შემოსავლები</u>	<u>10353.6</u>	<u>12836.0</u>	<u>23189.6</u>
გადასახადები	471.5	544.4	1015.9
გრანტები	9326.7	10837.2	20163.9
სხვა შემოსავლები	555.4	1454.4	2009.8
<u>არაფინანსური აქტივების კლება</u>	42.2	50.9	93.1

2013-2014 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მონაცემების მიხედვით, შემოსავლების 87%-ს წარმოადგენს გრანტები, გადასახადის სახით მიღებული შემოსავალი შეადგენს 4%-ს, ხოლო დანარჩენი 9% უჭირავს სხვა შემოსავლებს.

დიაგრამა 1: შემოსავლები 2013-2014 წწ.

(ათასი ლარი)



რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ ტრანსფერებს, წლების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

ცხრილი 2. 2013-2014 წლებში მიღებული ტრანსფერები

ათასი ლარი

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი	2013 წელი	2014 წელი	სულ
გათანაბრებითი ტრანსფერი	5070.0	6454.4	11524.4
მიზნობრივი ტრანსფერი	190.0	190.0	380.0
სპეციალური ტრანსფერი	4066.7	4192.8	8259.5
სულ:	9326.7	10837.2	20163.9

2014 წელს საჩხერის მუნიციპალიტეტს სპეციალური ტრანსფერის სახით გამოეყო 4192.8 ათასი ლარი. მათ შორის, ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად - 3222.8 ათასი ლარი, ხოლო სტიქიის სალიკვიდაციოდ - 790.0 ათასი ლარი³.


გადასახდელები

საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებმა 2013-2014 წლებში შეადგინა 20277.8 ათასი ლარი. მათ შორის, ხარჯი შეადგენს 66%-ს, ხოლო 34% უჭირავს არაფინანსური აქტივების ზრდას.

³ 2014 წელს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად სპეციალური ტრანსფერიდან გაიმიჯნა კაპიტალური ტრანსფერი, რომელიც კაპიტალური პროექტების განსახორციელებლად გამოეყოფა ადგილობრივ თვითმმართველობებს, ხოლო სპეციალური ტრანსფერი დარჩა როგორც სტიქიური მოვლენების და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციოდ მიღებული ფინანსური დახმარება.

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:

დიაგრამა 2: ხარჯები 2013-2014 წლები (ათასი ლარი)




ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მონაცემების მიხედვით, აღნიშნულ პერიოდში გაიზარდა „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი 33%-ით, „სუბსიდიის“ მუხლი - 6%-ით და „შრომის ანაზღაურების“ მუხლი - 4%-ით.

ნაშთის ცვლილება

2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ნაშთის ცვლილებით გამოწვეული ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 1828.3 ათასი ლარი, ხოლო 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 2066.6 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ ნაშთები მოიცავს წლის განმავლობაში აღებული ვალდებულებების დასაფარავ თანხას, რომელიც გადასულია მომდევნო წლის შესრულებაში, მათ შორის: 2013 წელს - 535.6 ათასი ლარი, ხოლო 2014 წელს - 1218.0 ათასი ლარი. იქიდან გამომდინარე, რომ მუნიციპალიტეტი საჭიროებს მრავალი ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტის განხორციელებას, სასურველია წლიური ბიუჯეტი იმგვარად დაიგეგმოს, რომ მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული თანხები.

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია 2013-2014 წლებში წარმოდგენილია ჯამური მაჩვენებლებით:



2013-2014 წლებში საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით - 21-21%-ით წარმოდგენილია ეკონომიკური საქმიანობა და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება. შემდეგ მოდის განათლება, გარემოს დაცვა, დასვენება, კულტურა და რელიგია - 14-14%. ყველაზე დაბალი მაჩვენებლები უჭირავს: გარემოს დაცვას - 6%, სოციალური დაცვას - 5%, საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას - 3%, ჯანმრთელობის დაცვასა და თავდაცვას - თითო-თითო პროცენტი (1-1%).

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

ინფრასტრუქტურული პროექტები

სავანე-არგვეთი-მახათაურის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები

2012 წლის 20 აგვისტოს საჩხერის მუნიციპალიტეტსა და შპს „ჯი აი დის“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა საჩხერის მუნიციპალიტეტში, სავანე-არგვეთი-მახათაურის საავტომობილო გზის რეაბილიტაციას, ღირებულებით - 247.0 ათასი ლარი.

ხელშეკრულების მიხედვით, შემსყიდველს ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით, სამუშაოების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე შეეძლო განეხორციელებინა კონტროლი სამუშაოების შესრულებაზე, მათ შორის, სამუშაოების ხარისხზე. ამასთან, შემსყიდველს მიღებული სამუშაოს ღირებულება შესრულებული სამუშაოს პროექტთან შესაბამისობის თაობაზე, უნდა აენაზღაურებინა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე (საინჟინრო ექსპერტიზა), რაც, როგორც წესი, მოიცავს ხილული სამუშაოების შემოწმებას.

2012 წლის 22 აგვისტოს შპს „ჯი აი დის“ ავანსის სახით გადაერიცხა 98.8 ათასი ლარი. 2012 წლის 17 დეკემბერს მიმწოდებელმა მუნიციპალიტეტს წარუდგინა სსიპ - „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნა, რომელიც ეხებოდა ფაქტობრივად შესრულებული ხილული სამუშაოების მოცულობებსა და შესრულებული სამუშაოების აქტში (ფორმა №2) დაფიქსირებული ღირებულების შესაბამისობას⁴. 2012 წლის 19 დეკემბერს ინსპექტირების ჯგუფის მიერ შედგენილ აქტში დაფიქსირებულია, რომ შესრულებული ხილული სამუშაოების 30%-მდე უხარისხოა და შემდგომ ექსპლოატაციას არ ექვემდებარება. დაფიქსირებული დარღვევების მიუხედავად, მუნიციპალიტეტმა 2012 წლის 21 დეკემბერს, სამუშაოს ღირებულების ნაწილი 80.0 ათასი ლარი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გარეშე გადაურიცხა შპს „ჯი აი დის“ ისე, რომ საბანკო გარანტია არ იყო წარმოდგენილი. ამასთან, მიმწოდებლის წერილზე დართული

⁴ დასკვნა ასფალტობეტონის ნარევის ხარისხის შესახებ, რომელიც ეხება მხოლოდ ასფალტობეტონის ქვედა ფენას, გაცემულია შპს „საქგზამეცნიერების“ მიერ.

რეზოლუციიდან ირკვევა, მთლიანი თანხის დარჩენილ ნაწილს 68.2 ათას ლარს მუნიციპალიტეტი გადაიხდიდა შემსრულებლის მიერ პირგასამტეხლოს თანხის - 29.6 ათასი ლარის გადახდის შემდეგ.

2013 წლის 22 თებერვალს, შესრულებულ სამუშაოებს ჩაუტარდა საექსპერტო გამოკვლევები⁵, რომელიც ეხებოდა დაგეგმილი ასფალტობეტონის ხარისხს. დასკვნაში აღნიშნულია, რომ სამუშაოები შესრულებულია უხარისხოდ და არ შეესაბამება მოქმედ სტანდარტებს, რითაც დასტურდება ინსპექტირების ჯგუფის მოსაზრება შესრულებული სამუშაოების ხარისხთან დაკავშირებით.

საჩხერის მუნიციპალიტეტმა 2013 წლის 22 მარტს შპს „ჯი აი დის“ ხელმძღვანელობას წერილით აცნობა, რომ სამუშაოების უხარისხოდ შესრულების გამო მუნიციპალიტეტი წყვეტს ხელშეკრულებას. იმავე წერილით შემსყიდველმა მოითხოვა პირგასამტეხლოს თანხის - 29.6 ათასი ლარის გადახდა და სამუშაოს შემსრულებლისათვის გაცემული თანხის - 178.8 ათასი ლარის დაბრუნება. აღნიშნული თანხებიდან შპს „ჯი აი დიმ“ გადაიხდა მხოლოდ დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა - 29.6 ათასი ლარი⁶. ხელშეკრულების მე-13 მუხლის მიხედვით, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი იყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მიღებული ზიანის ანაზღაურება მოეთხოვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ნორმების შესაბამისად, რაც არ განხორციელებულა.

მიუხედავად აღნიშნული გარემოებებისა, მუნიციპალიტეტი 2013 წლის 22 მარტის შემდეგ, ზიანის ანაზღაურების მიზნით, არ დაკავშირებია შპს „ჯი აი დის“ და არც შემდგომი რეაგირებისათვის მიუმართავს შესაბამისი ორგანოებისათვის. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის 20 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამმართველოდან მუნიციპალიტეტმა მიიღო წერილი, რომლის თანახმად, შპს „ჯი აი დის“ ხელმძღვანელი პირების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხების მითვისების ფაქტზე აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე.

⁵ სსიპ - ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.

⁶ დარიცხულია სამუშაოს ვადაგადაცილებით შესრულების გამო.

აღნიშნულის საფუძველზე საგამომიებო სამსახურმა გამოითხოვა მუნიციპალიტეტსა და შპს „ჯი აი დის“ შორის ხელშეკრულების შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საჩხერის მუნიციპალიტეტმა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მიიღოს ზომები მიმწოდებლის მიერ არაჯეროვნად და უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს შედეგად მიღებული ზიანის ასანაზღაურებლად.

ქალაქ საჩხერეში გზების მშენებლობა

2013 წლის 3 სექტემბერს საჩხერის მუნიციპალიტეტსა და შპს „არნაბი 21“-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ქ. საჩხერის 10 საქალაქო მნიშვნელობის ქუჩის ასფლტობეტონის საფარით მოწყობის სამუშაოებს, ღირებულებით - 1741.0 ათასი ლარი. სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2013 წლის 30 ნოემბერს, მაგრამ შპს „არნაბი 21“-ის ხელმძღვანელობის მოთხოვნით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, სამუშაოების დასრულების ვადა გაგრძელდა 20 დეკემბრამდე. მიზეზად დასახელებულია სამუშაოების შესრულების პროექტის ხარვეზებით შედგენა, კერძოდ, მიწისქვეშა კომუნიკაციების პროექტთან შეუსაბამობა, პროექტით გაუთვალისწინებელი სანიაღვრე არხების, სანიაღვრე ჭებისა და მილების მოწყობა და სხვ., რამაც გამოიწვია დამატებითი სამუშაოების შესრულება. აღსანიშნავია, რომ ვადის 15-20 დღით გადაწევის შემთხვევაში შემსრულებელი იღებდა ვალდებულებას საკუთარი სახსრებით უზრუნველყო არსებული ხარვეზების აღმოფხვრა.

მიუხედავად ვადის გაგრძელებისა, მუნიციპალიტეტმა 159.8 ათასი ლარის სამუშაო არ ჩათვალა დასრულებულად, ვინაიდან სანაპიროს ქუჩის ტროტუარზე სრულად არ იყო შესრულებული ქვაფენილის დაგებისა და გამწვანების სამუშაოები. შედეგად, 2014 წლის 9 მარტს ხელშეკრულება შეწყდა, ხოლო შპს „არნაბი 21“-ს დაეკისრა პირგასამტეხლო 96.3 ათასი ლარი.

შპს „არნაბი 21“-ს წარმოდგენილი ჰქონდა შპს „არდი ჯგუფის“ მიერ გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია 87.0 ათას ლარზე,

მოქმედების ვადით 2013 წლის 31 დეკემბრამდე. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოების დასრულების ვადა გაგრძელდა 20 დეკემბრამდე, მუნიციპალიტეტს საგარანტიო ვადის გაგრძელება არ მოუთხოვია. შემსრულებელმა მუნიციპალიტეტს 16 დეკემბერს აცნობა სამუშაოების დასრულების შესახებ, ხოლო შემსყიდველმა ინსპექტირება განახორციელა ერთი თვის დაგვიანებით, რა დროსაც საგარანტიო ვადა ამოწურული იყო და მოთხოვნას სამართლებრივად ძალა ჰქონდა დაკარგული. შესაბამისად, სამუშაოების დაუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება ვერ მოხერხდა.

ხელშეკრულების შეწყვეტამდე შპს „არნაბი 21“-ს, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით შესრულებული ჰქონდა 1581.2 ათასი ლარის სამუშაოები, რაზეც გაფორმებულია შუალედური მიღება-ჩაბარების აქტები, ხოლო 159.8 ათასი ლარის სამუშაოებზე - მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმებულა. სამუშაოებზე ზედამხედველი პირის მიერ შედგენილ მოხსენებით ბარათებში აღწერილია სხვადასხვა ხასიათის ხარვეზები, ხოლო შესრულებული სამუშაოებისა და გამოყენებული მასალების ხარისხის შეფასება საჭიროებს სპეციფიკურ ცოდნას. ამრიგად სასურველია, შესრულებულ სამუშაოებს, არსებულ სტანდარტებთან და სახარჯთაღრიცხვო პარამეტრებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ჩაუტარდეს საექსპერტო გამოკვლევები.

საბავშვო ბაღების მშენებლობა

2013 წლის დეკემბერში საჩხერის მუნიციპალიტეტის 6 სოფელში საბავშვო ბაღების მშენებლობაზე გამოცხადებულ ტენდერებში⁷ გამარჯვებულად გამოვლინდნენ:

- შპს „გეგი“, სოფელი კორბოული, ღირებულებით - 90.0 ათასი ლარი;
- შპს „გეგი“, სოფელი ქორეთი, ღირებულებით - 97.0 ათასი ლარი;
- ი/მ „თამაზი დეკანოიძე“, სოფელი გორისა, ღირებულებით - 85.0 ათასი ლარი;
- ი/მ „თამაზი დეკანოიძე“, სოფელი პერევი, ღირებულებით - 87.6 ათასი ლარი;
- ი/მ „თამაზი დეკანოიძე“, სოფელი ჭალოვანი, ღირებულებით - 90.0 ათასი ლარი;

⁷ თითოეულ საბავშვო ბაღზე სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 119.1 ათას ლარს.

- შპს „სტილექსი“, სოფელი ზედა ორღული, ღირებულებით - 91.4 ათასი ლარი.

ხელშეკრულებებში ერთსა და იმავე პერიოდში შეტანილია ორი ცვლილება, რომელთაგან პირველი ცვლილებით სამუშაოების დასრულების ვადა გაგრძელდა ორი თვით. აღსანიშნავია, რომ ექვსივე ხარჯთაღრიცხვაში განხორციელდა იდენტური ცვლილებები, ხოლო ვადის გაგრძელების მიზეზები განსხვავებულია. კერძოდ: შპს „გეგის“ ვადის გაგრძელების მიზეზად დასახელებულია კლიმატური პირობები, ხოლო ი/მ „თამაზ დეკანოიძესა“ და შპს „სტილექსი“ ვადა გაუგრძელდათ იმ მოტივით, რომ სახელშეკრულებო ღირებულება საჭიროებდა თანხის დამატებას, მაგრამ ვინაიდან მშენებლობის პერიოდი დაემთხვა საარჩევნო პერიოდს, კანონმდებლობის მიხედვით, ორი თვით იკრძალებოდა ბიუჯეტში ცვლილების შეტანა. აქედან გამომდინარე, არსებობს მაღალი რისკი, რომ სამუშაოების დასრულების ვადის გადაწევა არ იყო განპირობებული ობიექტური მიზეზებით.

მიწოდების ვადის გაგრძელების მიზნით, მიმწოდებლების მიერ მოყვანილი გარემოებები, კერძოდ, სამუშაოების შესრულებისათვის შესაფერისი მეტეოროლოგიური პირობების არარსებობა და მცირე მოცულობის სამუშაოების დამატება ვერ ჩაითვლება განსაკუთრებულ მოვლენად, რომელთა გათვალისწინება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შეუძლებელი იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს იმის რისკი, რომ შესაძლებელია მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებს სამუშაოების დასრულების ვადა გადაუწია, რათა არ დაერიცხა პირგასამტეხლოს თანხა. სამუშაოებზე ვადის გაგრძელების ნაცვლად, პირგასამტეხლოს თანხის დარიცხვის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი სავარაუდოდ მიიღებდა 62.0 ათას ლარზე მეტ სარგებელს.

ხელშეკრულებებში შეტანილი მეორე ცვლილებით, ექვსივე ხარჯთაღრიცხვაში დაემატა პანდუსებისა და მოაჯირის მოწყობა. ასევე განხორციელებულია ხარჯთაღრიცხვის სხვა ცვლილებებიც, კერძოდ: შემცირებულია სახურავის მოწყობისა და კედლის მშენებლობა, ასევე ტიხრის ბლოკის გამოყენება. აღსანიშნავია, რომ შემცირებული სამუშაოების ღირებულება გადანაწილებულია სხვა სამუშაოებზე ან შესრულებულია ისეთი სამუშაოები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის პირველ ვარიანტში. მიუხედავად

სამუშაოების შემცირებისა, არ არის კორექტირებული შემცირებული სამუშაოების თანმდევი კომპონენტები.

აუდიტის ჯგუფის მიერ საბავშვო ბაღების ვიზუალური დათვალიერებისას, რომელსაც ესწრებოდა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი, გამოვლინდა სხვადასხვა შეუსრულებელი სამუშაოები. აღსანიშნავია, რომ ექსპერტის დასკვნასა და ფორმა №2-ში აღნიშნული სამუშაოები დაფიქსირებულია, როგორც შესრულებული. კერძოდ: ხარჯთაღრიცხვაში შეტანილი ცვლილების შედეგად დამატებული პანდუსის მოწყობის სამუშაოები არ არის შესრულებული შპს „სტილექსის“ მიერ, სოფელ ზედა ორლულში; ტერიტორიის შემოღობვაზე საერთოდ არ არის გამოყენებული ზოლოვანა და არმატურის დაახლოებით 80%, ხოლო ოთახები საკედლე ბლოკის ნაცვლად, გადატიხრულია თაბაშირ-მუყაოს ფილებით. ასევე, ი/მ „თამაზ დეკანოიძის“ მიერ სოფელ ჭალოვანში არ არის შესრულებული პანდუსის მოწყობის სამუშაოები.

ცვლილებების გათვალისწინებით, საბოლოო ღირებულებამ შეადგინა:

- კორბოულის ბაღი - 92.5 ათასი ლარი;
- ქორეთის ბაღი - 98.1 ათასი ლარი;
- გორისას ბაღი - 86.7 ათასი ლარი;
- პერევის ბაღი - 94.0 ათასი ლარი;
- ჭალოვანის ბაღი - 90.1 ათასი ლარი;
- ზედა ორლულის ბაღი - 95.3 ათასი ლარი.

ვადის გაგრძელების მიუხედავად, შპს „გეგის“ შესრულებული აქვს სამუშაოების მხოლოდ მცირე ნაწილი, კერძოდ, სოფელ ქორეთის ბაღი - 35.6 ათასი ლარი, ხოლო სოფელ კორბოულის ბაღი - 30.1 ათასი ლარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტის⁸ შეფასებით, საბავშვო ბაღების სამშენებლო სამუშაოები შესრულებულია მნიშვნელოვანი ხარვეზებით. გაფორმებული ხელშეკრულებები 2014 წლის 8 სექტემბრიდან შეწყვეტილია, ხოლო ავანსად მიღებული თანხების გაუხარჯავი ნაწილი - 27.8 ათასი ლარი, შპს „გეგის“ არ დაუბრუნებულია.

⁸ სსიპ - ლევან სამხარაულის ეროვნული სასამართლო ექსპერტიზის ბიურო.

აღსანიშნავია, რომ ექვსივე საბავშვო ბაღი აშენებულია ერთი პროექტის მიხედვით, ასევე ხარჯთაღრიცხვებში განხორციელებულია იდენტური ცვლილებები, თუმცა ექსპერტების⁹ მიერ ძირითადი სამუშაოები ჩათვლილია განსხვავებული მოცულობებით.

ცხრილი 3. ექსპერტის მიერ ჩათვლილი განსხვავებული მონაცემები

სოფლის დასახელება	გადახურვა კვ.მ	კედლის მშენებლობა კუბ.მ	ხის კონსტრუქცია სახურავისთვის კუბ.მ
ჭალოვანი	342	64.5	9.5
პერევი	342	64.5	9.5
გორისა	342	64.5	9.5
კორბოული	282	60	7.5
ქორეთი	282	60	7.5
ზედა ორღული	278	64.5	9.5

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს რისკი, რომ ექსპერტების მიერ გაცემული დასკვნები არ იყოს ობიექტური სხვა კომპონენტებშიც, ხოლო საბავშვო ბაღების მშენებლობაზე გამოვლენილი სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებების გათვალისწინებით, აღნიშნული საკითხი შესაძლებელია საჭიროებდეს დამატებით შესწავლას სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანების შესრულება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების¹⁰ მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის ფორმით შეძენისას, მიმწოდებელთან ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე. 2013 წელს საჩხერის მუნიციპალიტეტს სამშენებლო სამუშაოების შესასყიდად გამარტივებული წესით გაფორმებული აქვს 31 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 988.1 ათასი ლარი. მიუხედავად კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნისა, შესრულებულ

⁹ ექვსივე ბაღში ექსპერტიზა ჩატარებულია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს სხვადასხვა ექსპერტის მიერ.

¹⁰ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანება.

სამუშაოებზე მუნიციპალიტეტის მიერ ანგარიშსწორება განხორციელებულია კანონმდებლობის¹¹ დარღვევით, ფაქტობრივი დანახარჯების გათვალისწინების გარეშე, ხოლო 2014 წელს მუნიციპალიტეტში შექმნილი იყო ინსპექტირების ჯგუფი, რომელსაც ევალებოდა გამარტივებული შესყიდვით განხორციელებულ სამუშაოებზე გაწეული ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით¹².

აუდიტის ჯგუფის მოთხოვნით, საჩხერის მუნიციპალიტეტმა მიმართა მიმწოდებლებს, რომ წარმოედგინათ 2013 წელს შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მოთხოვნის მიუხედავად, აღნიშნული დოკუმენტაცია შემსრულებლების უმრავლესობას არ წარმოუდგენია, ხოლო იმ დოკუმენტებში, რომლებიც აუდიტის ჯგუფს წარედგინა (წარმოდგენილია სულ 5 მეწარმის მიერ), გამოვლინდა სხვაობები შემსრულებლების ფაქტობრივ ხარჯსა და მუნიციპალიტეტის მიერ ანაზღაურებულ თანხებს შორის. კერძოდ:

- 2013 წელს საჩხერის მუნიციპალიტეტსა და ი/მ „ვახტანგ კუჭაშვილს“ შორის გაფორმებულია ორი ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 54.3 ათასი ლარი, რომელიც ითვალისწინებდა სოფლებში - პერევისა და ჯრიაში სარიტუალო დარბაზების კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარებას. შესრულებული სამუშაოს აქტის მიხედვით, მასალებზე გახარჯულია - 28.5 ათასი ლარი, ხოლო მასალების შესყიდვის დოკუმენტების მიხედვით - 25.8 ათასი ლარი, ანუ მუნიციპალიტეტის მიერ შესაბამისი დასაბუთების გარეშე სავარაუდოდ, ანაზღაურებულია 2.8 ათასი ლარი.
- 2013 წლის 2 სექტემბერს საჩხერის მუნიციპალიტეტსა და ი/მ „ფირუზ გრძელიშვილს“ შორის, სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად გაფორმებულია ხელშეკრულება №64, ღირებულებით - 27.1 ათასი ლარი. შესრულებული სამუშაოს აქტის მიხედვით, მასალებზე გახარჯულია 15.8 ათასი ლარი, ხოლო მასალების შესყიდვის დოკუმენტების მიხედვით - 14.7 ათასი ლარი, ანუ 1.1 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის მიერ ანაზღაურებულია შესაბამისი დასაბუთების გარეშე.

¹¹ ანგარიშსწორება ნაწარმოებია ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე, წარმოდგენილი ფორმა №2-ის მონაცემების საფუძველზე.

¹² საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება.

მომწოდებლების მიერ წარმოდგენილი 262.0 ათასი ლარის შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაციის¹³ შესწავლით გამოვლინდა არსებითი უზუსტობები. შესაბამისად, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ 2013 წელს გამარტივებული წესით სამშენებლო სამუშაოების შესყიდვების სრულყოფილად შესწავლის შემთხვევაში გამოვლენილ იქნეს მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებლებზე სხვა ზედმეტად ანაზღაურებული თანხები. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა

2014 წელს საჩხერის მუნიციპალიტეტსა და შპს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებების შედეგად, შეძენილია ორი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, კერძოდ:

- სოფლების - სარეკისა და ბაჯითის სასმელი წყლის შიდა ქსელის სათავე ნაგებობებისა და სარეგულაციო რეზერვუარების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ღირებულებით - 18.5 ათასი ლარი. (შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება შეადგენდა 3488.3 ათას ლარს).
- სოფელ სავანის სასმელი წყლის რეზერვუარისა და სოფლის შიდა ქსელის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ღირებულებით - 27.2 ათასი ლარი (შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება შეადგენდა 1945.0 ათას ლარს).

აღნიშნულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას მუნიციპალიტეტის დაკვეთით, 2014 წელს ჩაუტარდა ექსპერტიზა¹⁴ (ღირებულება განისაზღვრა შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების 0,5%-ით). შედეგად, საექსპერტო მომსახურებაზე გადახდილია:

¹³ ხელშეკრულებები №54, №56, №59, №83, №77, №64, №51.

¹⁴ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.

- სოფლების - სარეკისა და ბაჯითის სასმელი წყლის შიდა ქსელის სათავე ნაგებობებისა და სარეგულაციო რეზერვუარების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია - 17.4 ათასი ლარი.
- სოფელ სავანის სასმელი წყლის რეზერვუარისა და სოფლის შიდა ქსელის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია - 11.3 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ სოფელ სავანის სასმელი წყლის რეზერვუარისა და სოფლის შიდა ქსელის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საექსპერტო გამოკვლევაზე მუნიციპალიტეტის მიერ ანაზღაურებულია 1.6 ათასი ლარით მეტი. თანხის ზედმეტად გადახდა განხორციელდა ექსპერტის მიერ მუნიციპალიტეტისათვის გაგზავნილი წერილის საფუძველზე, რომლის მიხედვით, სახარჯთაღრიცხვო ღირებულება თავდაპირველთან შედარებით გაიზარდა 314.2 ათასი ლარით. თუმცა საბოლოოდ დადგინდა, რომ სახარჯთაღრიცხვო ღირებულება პირვანდელთან შედარებით შემცირდა 782.9 ათასი ლარით. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტმა ექსპერტის მომსახურება აანაზღაურა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ზრდის პროპორციულად, თუმცა შემცირებისას აღნიშნული მიდგომა არ გაუთვალისწინებია.

ჩატარებული ექსპერტიზით, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გამოვლინდა ტექნიკური ხასიათის შეცდომები, რომელთა შედეგად შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება ორივე შემთხვევაში შემცირდა 1780.2 ათასი ლარით¹⁵.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სრულყოფილად შედგენის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი ზედმეტად არ გადაიხდიდა მინიმუმ 8.9 ათას ლარს¹⁶. ხელშეკრულების მიხედვით, შემსყიდველს შეეძლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემდგენელისაგან მოეთხოვა უზუსტობით, ან შეცდომით გამოწვეული ნებისმიერი მატერიალური, ან არამატერიალური ზიანის ანაზღაურება, რაც მუნიციპალიტეტის მიერ არ განხორციელებულა.

მიზანშეწონილია, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნის სატენდერო წინადადებაში შემსყიდველმა გაითვალისწინოს ისეთი პირობები, რომ

¹⁵ 997.3 ათასი ლარი და 782.9 ათასი ლარი.

¹⁶ 1780.2 * 0,5% = 8.9

მინიმუმადე იქნეს დაყვანილი პროექტის ხარვეზები და უზუსტობები და არ საჭიროებდეს საექსპერტო გამოკვლევებს. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მიერ ექსპერტიზაზე გადახდილი 28.7 ათასი ლარი (რაც საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საერთო ღირებულების 63%-ს შეადგენს), წარმოადგენს არაეფექტიან ხარჯს.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“

წყლის სისტემების მოსაწყობად შეძენილი მიწების გამოყენება

2013-2014 წლებში მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განსახორციელებლად სულ გამოყოფილია 1954.2 ათასი ლარი¹⁷.

პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხებიდან, აუდიტის პერიოდში სულ აუთვისებული იყო 88.9 ათასი ლარი, რომელიც არ მოხმარდა სოფლის მოსახლეობის საჭიროების დაკმაყოფილებას.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სოფლის პროგრამიდან დაფინანსებულია ისეთი პროექტები, რომლებიც ბოლომდე ვერ იქნა დასრულებული. შესაბამისად, აღნიშნული პროექტით სარგებლობის საშუალება მოსახლეობას არ მიეცა. კერძოდ, მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობას წყლისა და კანალიზაციის სისტემების მოსაწყობად გადაეცა პლასტმასის მილები, რომლებიც ორი და მეტი წლის განმავლობაში გამოუყენებელია, მაგალითად:

- კორბოულის თემს 2012 წელს გადაეცა 460 გრძ.მ მილები, ღირებულებით - 1.1 ათასი ლარი. 2013 წელს სოფელს დამატებით გადაეცა 1700 გრძ.მ, ღირებულებით - 3.3 ათასი ლარი, საიდანაც გაიხარჯა მხოლოდ 200 გრძ.მ. შედეგად, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 1960 გრძ.მ მილები გამოუყენებელია.
- სარეკის თემს 2012 წელს გადაეცა 1900 გრძ.მ მილები, ღირებულებით - 2.4 ათასი ლარი. 2013 წელს დამატებით გადაეცა 500 გრძ.მ, ღირებულებით - 0.6 ათასი ლარი. შეძენილი მილები 2014 წელს არ გამოუყენებიათ, შედეგად

¹⁷ 2013 წელი - 983.5 ათასი ლარი; 2014 წელი - 970.7 ათასი ლარი.

შეუსრულებელია ის სამუშაო, რომელიც უნდა განხორციელებულიყო გადაცემული მასალებით.

- არგვეთის თემს 2012 წელს გადაეცა 3500 გრძ/მ მილები, ღირებულებით - 8.1 ათასი ლარი. 2014 წელს დამატებით გადაეცა 1900 გრძ/მ, ღირებულებით - 2.7 ათასი ლარი. გადაცემული მასალა აუდიტის პერიოდში არ არის გამოყენებული, შედეგად, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გამოუყენებელია სულ 5400 გრძ/მ, ღირებულებით - 10.8 ათასი ლარი.
- 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ასევე გამოუყენებელია 2012 წელს გადაცემული მილები: მერჯევის თემზე - 4330 გრძ/მ, ღირებულებით - 10.0 ათასი ლარი, ჯალაურთის თემზე - 1500 გრძ/მ, ღირებულებით - 3.4 ათასი ლარი და სოფელ ქორეთზე - 1850 გრძ/მ, ღირებულებით - 3.7 ათასი ლარი.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საჩხერის მუნიციპალიტეტს ნაშთად ერიცხება 2012-2014 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ შეძენილი 41870 გრძ/მ წყლის მილები, საერთო ღირებულებით - 78.1 ათასი ლარი.

აუდიტის ჯგუფის მიერ ნაშთად რიცხული წყლის მილების ვიზუალური დათვალიერებით და წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით დადგინდა, რომ სოფელ მერჯევზე გადაცემული მილებიდან, 2014 წელს 1570 გრძ/მ, ღირებულებით - 3.6 ათასი ლარი, გადაეცა სოფელ ჩიხას, ხოლო 500 გრძ/მ, ღირებულებით - 1.2 ათასი ლარი, სოფელ ჭალოვანს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გამოყოფილი თანხები მიმართული უნდა იყოს მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის, ხოლო აქტივების სხვა სოფლის მიერ გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ერთობლივი პროექტის განხორციელების შემთხვევაში. შესაბამისად, სოფლისათვის განკუთვნილი სახსრების სხვა სოფლისათვის გადაცემით დარღვეულია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ძირითადი არსი და მიზნობრიობა.

სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოების შესრულება

2013 წლის 14 აგვისტოს საჩხერის მუნიციპალიტეტსა და შპს „დიზაინ ენდ ბაუს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება ღირებულებით 93.9 ათასი ლარი, რომლის ფარგლებშიც მიმწოდებელს უნდა განეხორციელებინა სამშენებლო და გზის მოხრეშვის სამუშაოები. ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული იყო ხრეშის გამოყენება 1კუბ.მ ღირებულებით – 6.7 ლარი¹⁸. ამასთან, მუნიციპალიტეტის მიერ ლიცენზიის მოსაკრებლისაგან გათავისუფლებისათვის ერთჯერადად გადახდილია 2.3 ათასი ლარი. აღნიშნულ სამუშაოებზე ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული იყო 1266 კუბ.მ ხრეში, საერთო ღირებულებით - 8.5 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის განკარგულებით¹⁹, მიმდინარე პერიოდისათვის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება გათავისუფლებული იყო ლიცენზიისაგან, რის შესახებ ეცნობა მიმწოდებელს. ხარჯთაღრიცხვაში განხორციელებული ცვლილებით, მასალის ღირებულებიდან მისაღები ეკონომიის თანხები მიმწოდებლის მიერ გადანაწილდა ხელფასისა და ტრანსპორტირების მუხლებში, ხოლო ინერტული მასალის ნაწილის ღირებულება დარჩა უცვლელი.

მუნიციპალიტეტის მიერ, შესრულებულ სამუშაოებზე გაწეულია იმაზე მეტი ხარჯი, ვიდრე ლიცენზიის მოსაკრებლის გადახდის გარეშე იქნებოდა შესაძლებელი. ამრიგად, მთავრობის განკარგულების საფუძველზე მისაღები სარგებლი მუნიციპალიტეტს არ მიუღია.

დაუსრულებელი პროექტები

სოფელ მერჯევის საბავშვო ბაღის მშენებლობა

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 იანვრის №40 განკარგულებით, საჩხერის მუნიციპალიტეტს საბავშვო ბაღის ასაშენებლად გამოეყო 239.1 ათასი ლარი.

სამუშაოს შესასრულებლად 2010 წელს ხელშეკრულება გაფორმდა შპს „კავკაზუს ტაუერთან“, ღირებულებით - 231.6 ათასი ლარი. იმავე პერიოდში მიმწოდებელს ავანსის სახით ჩაერიცხა 77.0 ათასი ლარი. წარმოდგენილი

¹⁸ დარიცხვებით.

¹⁹ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 სექტემბრის №1316 განკარგულება.

დოკუმენტებისა და პასუხისმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნული სამუშაო არ დასრულებულა, ხოლო ავანსად გაცემული თანხიდან 67.0 ათასი ლარის დაბრუნება მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ვერ მოხერხდა შპს „კავკაზუს ტაუერსის“ გაკოტრებისა და მისი ხელმძღვანელის გარდაცვალების გამო.

მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხის დარჩენილი ნაწილი - 172.1 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა 2014 წლამდე, ხოლო 2014 წლის 26 ივნისს, სოფელ მერჯევში საბავშვო ბაღის ასაშენებლად ხელშეკრულება გაფორმდა შპს „ტორეროსთან“²⁰, ღირებულებით - 247.1 ათასი ლარი²¹. ხელშეკრულება, საბანკო გარანტიის წარდგენის საფუძველზე ითვალისწინებდა საავანსო ანგარიშსწორებას 30%-ის ოდენობით.

2014 წლის 4 ივლისს შპს „ტორერომ“ მუნიციპალიტეტს წარუდგინა სს „ლიბერთი ბანკის“ მიერ გაცემული საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში შედიოდა საავანსო თანხის სს „ლიბერთი ბანკის“ შპს „ტორეროს“ ანგარიშზე ჩარიცხვისთანავე. მიმწოდებლის მოთხოვნით, მუნიციპალიტეტმა საავანსო თანხა - 74.1 ათასი ლარი ჩარიცხა ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული იყო სს „საქართველოს ბანკის“ ანგარიში). შედეგად, სს „ლიბერთი ბანკის“ მიერ გაცემული საბანკო გარანტია ძალაში არ შესულა. საავანსო თანხის მიღების შემდეგ, შპს „ტორეროს“ სამშენებლო სამუშაოები არ განუხორციელებია, ხოლო აღნიშნულ საკითხზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს საგამოძიებო მოკვლევა.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სოფელ მერჯევში საბავშვო ბაღის ასაშენებლად, საქართველოს მთავრობის განკარგულებით 2010 წელს გამოყოფილი 239.1 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტმა ვერ აითვისა დანიშნულისამებრ, შედეგად, პროექტით გათვალისწინებული სარგებელი მოსახლეობას დღემდე არ მიუღია.

²⁰ გამოვლინდა გამარჯვებულად ელექტრონულ ტენდერში.

²¹ 75.0 ათასი ლარი დაემატა ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

სოფელ სავანის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია

2014 წლის 14 აგვისტოს საჩხერის მუნიციპალიტეტსა და შპს „ნიუკონსტრაქშენს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა სოფელ სავანის სასმელი წყლის რეზერვუარებისა და სოფლის შიდა ქსელის სისტემების პირველი ეტაპის სამუშაოების შესრულებას, ღირებულებით - 533.0 ათასი ლარი. ხელშეკრულების თანახმად, შპს „ნიუკონსტრაქშენს“ ავანსის სახით ჩაერიცხა 159.9 ათასი ლარი და სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 30 ნოემბერი.

შუალედური მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით, შპს „ნიუკონსტრაქშენს“ 2014 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით შესრულებული ჰქონდა მხოლოდ 129.4 ათასი ლარის სამუშაოები, საიდანაც გაეცა 90.6 ათასი ლარი, ხოლო 38.8 ათასი ლარი დაუკავდა, როგორც საავანსო თანხის წილი. სხვა დარჩენილი სამუშაოები, დღემდე შეუსრულებელია, ხოლო ხელშეკრულების მოქმედება მუნიციპალიტეტის მიერ 2015 წლის თებერვლიდან შეწყვეტილია. აღსანიშნავია, რომ ავანსად გაცემული თანხიდან 60.4 ათასი ლარი აუდიტის მიმდინარეობისას არ იყო დაბრუნებული.

მიზანშეწონილია, რომ მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, მათ შორის სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი, რათა დროულად გამოავლინოს სამუშაოების დაუსრულებლობის რისკი და თავიდან აიცილოს შეუსრულებელი ვალდებულებებით გამოწვეული ზიანი.

სოციალური დახმარებები

საჩხერის მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური დახმარების სახით 2013-2014 წლებში გახარჯულია 813.9 ათასი ლარი²². სოციალური დახმარებების პროგრამები, მისი გაცემისა და მიღების წესი დამტკიცებულია საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სოციალური პროგრამებით გახარჯული თანხების შემოწმებით გამოვლენილია გარკვეული უზუსტობები და სისტემური ნაკლოვანებები, კერძოდ:

- სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარების პროგრამით 2013-2014 წლებში გაცემულია 50.2 ათასი ლარი²³. ბენეფიციარების

²² 2013 წელს - 346.3 ათასი ლარი, 2014 წელს - 467.6 ათასი ლარი.

²³ 2013 წელს - 35.0 ათასი ლარი, 2014 წელს - 15.2 ათასი ლარი.

მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შემოწმებით დადგინდა, რომ 172 შემთხვევაში სულ 38.4 ათასი ლარი გაცემულია ისეთ პირებზე, რომლებიც არ აკმაყოფილებდნენ პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებს (არ მიეკუთვნებოდნენ პროგრამით განსაზღვრულ სტიქიით დაზარალებულთა კატეგორიებს). ამასთან, 2014 წელს საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოციალური დახმარებისა და გაცემის წესი მოიცავდა სტიქიით დაზარალებული პირის მიერ პირადი საბანკო ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებას, მაგრამ მიუხედავად აღნიშნულისა, 2014 წლის სექტემბრამდე თანხის გაცემა წარმოებდა ნაღდი ანგარიშსწორებით.

- 2013-2014 წლებში ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამით გაცემულია 169.0 ათასი ლარი²⁴. 2013 წელს პროგრამის ფარგლებში, კომისიის მიერ განსაკუთრებულად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ოჯახებზე გაიცემოდა ერთჯერადად, წელიწადში - 200 ლარი, დაბალშემოსავლიან ოჯახებზე - 150 ლარი, გაჭირვებულ ოჯახებზე - 50 ლარი. პროგრამის დებულებით არ არის განსაზღვრული ბენეფიციარის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტი ან რაიმე სხვა კრიტერიუმი, რომლის საფუძველზე კომისიას უნდა ეხელმძღვანელა, ოჯახისათვის „განსაკუთრებულად მძიმე“ ან „გაჭირვებულის“ კატეგორიის მისაკუთვნებლად. აგრეთვე, იმის მიუხედავად, რომ არ იყო განსაზღვრული ოჯახების დაბალშემოსავლიანობის ზღვარი, ბენეფიციარს მოეთხოვებოდა მხოლოდ სახელფასო ცნობა სამუშაო ადგილიდან. 2014 წელს პროგრამას დაემატა, ერთჯერადად - 50 ლარის გაცემა იმ ოჯახებზე, რომელთაც ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელი მიიჩნევდა გაჭირვებულად.
- 2013-2014 წლებში უმუშევართა სოციალური დაცვის პროგრამით გაცემულია 24.3 ათასი ლარი. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებდა უმუშევრად მყოფი შეჭირვებული ოჯახებისათვის ერთჯერადად 50 ლარის გაცემას. ბენეფიციარისათვის დახმარების მიღების ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენდა ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის შუამდგომლობა.

²⁴ 2013 წელს - 68.0 ათასი ლარი, 2014 წელს - 101.0 ათასი ლარი.

- სადღესასწაულო დღეებში ოჯახებისათვის დახმარების პროგრამით 2013-2014 წლებში გაცემულია 30.0 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ წინასწარ არ არის განსაზღვრული რომელ ჯგუფს გაეცემა დახმარების თანხები. მათი შერჩევა ხდება მიმდინარე წლის განმავლობაში გამგებლის წარმომადგენლების რეკომენდაციების საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ დახმარებაგასაწევი პირების განსაზღვრის კრიტერიუმები მუნიციპალიტეტს შემუშავებული არ აქვს, ხოლო ოჯახების შერჩევა ხდება ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლის მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მაღალია რისკი იმისა, რომ დახმარების გაცემა განხორციელდეს სუბიექტური შეხედულებებით. მიზანშეწონილია, მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს სოციალური დახმარების გაცემის ისეთი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მატერიალური პირობების გაუმჯობესებას, აგრეთვე, მაქსიმალურად უზრუნველყოფს დახმარების მიღების მსურველთა ეფექტიან და ობიექტურ განსაზღვრას.

ქარგილებისათვის გამოყენებული ხის მასალა

2013-2014 წლებში, საჩხერის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდულ სამშენებლო სამუშაოებში, ქარგილების მოსაწყობად მიმწოდებლების მიერ საბაზრო ფასებით შეძენილი და გამოყენებულია დაახლოებით 61.6 ათასი ლარის ღირებულების წიწვოვანი ჯიშის ხის მასალა, მათ შორის, 2013 წელს - 30.0 ათასი ლარის და 2014 წელს - 31.6 ათასი ლარის ღირებულების. სამუშაოების დასრულების შემდეგ ხორციელდებოდა აღნიშნული ქარგილების დემონტაჟი. აღსანიშნავია, რომ შეძენილი ხის მასალა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და მისი მხრიდან უნდა განხორციელდეს დემონტირებული მასალის დასაწყობება.

საწარმოების სუბსიდიით დაფინანსება

2013-2014 წლებში საჩხერის მუნიციპალიტეტის მფლობელობაში შედიოდა 5 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) და 15 არაკომერციული არასამეწარმეო იურიდიული პირი (ა(ა)იპ), რომელთაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიური დაფინანსების სახით მიღებული აქვთ 4801.8 ათასი ლარი, რაც

მთლიანი გადასახდელების 24%-ს შეადგენს. მიღებული სუბსიდიების 71% გახარჯულია შრომის ანაზღაურებაზე.

მუნიციპალიტეტის შპს-ების დაფინანსება

მუნიციპალიტეტის შპს-ები შემოსავლებს იღებენ როგორც თვითმმართველობის დაკვეთით შესრულებული სამუშაოებიდან და მომსახურებიდან, ასევე სხვა კერძო სუბიექტებთან გაფორმებული გარიგებებიდან. მიუხედავად აღნიშნულისა, მათ მიერ ფინანსური წელი დასრულებულია ზარალით ან უმნიშვნელო მოგებით (0.3 ათას ლარამდე). მუნიციპალიტეტის მხრიდან არ არის შემუშავებული კონტროლის მექანიზმები, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ შპს-ბი მუნიციპალიტეტში არ წარადგენენ წლიურ ანგარიშებს, შესაბამისად, არც მუნიციპალიტეტი ახორციელებს შპს-ების წლიური შედეგების განხილვას, ანალიზსა და მათი საქმიანობის შეფასებას.

2013-2014 წლებში შპს-ებს მუნიციპალიტეტისათვის არ წარუდგენიათ გრძელვადიანი განვითარების ბიზნეს-გეგმები და წლიური ფინანსური შედეგების საპროგნოზო მაჩვენებლები. მუნიციპალიტეტის მხრიდან ზემოაღნიშნული მიდგომა ხელს ვერ შეუწყობს შპს-ების განვითარებას, ფინანსური შედეგების გაუმჯობესებასა და მისაღები დივიდენდების ზრდას.

მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების დაფინანსება

სპორტის, განათლების, კულტურისა და მომსახურების სფეროების ა(ა)იპ-ებს სუბსიდიის მისაღებად წლის დასაწყისში მუნიციპალიტეტში წარდგენილი აქვთ მოთხოვნები, რომლებშიც ძირითადად მითითებულია დაწესებულების შენახვის ხარჯები (შრომის ანაზღაურების, საქონელი და მომსახურების ხარჯები), კონკრეტული მიზნებისა და გეგმების გარეშე. უმეტეს შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მიერ სუბსიდია გაცემულია ისე, რომ არ არის გაანგარიშებული კონკრეტულ საქმეზე ან ღონისძიებაზე, რომელ პერიოდში, რა რაოდენობის თანხა უნდა გაიხარჯოს, არ არის შედგენილი ღონისძიებების ან სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი, ასევე არ არის გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი და კონტროლი მათ შესრულებაზე.

სუბსიდია წარმოადგენს საწარმოებსა და ორგანიზაციებზე მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სუბსიდიის დამტკიცებისას გაანგარიშებული უნდა ყოფილიყო მისი ოდენობა შესასრულებელი სამუშაოებისა და საქმიანობის გათვალისწინებით.

აღსანიშნავია ა(ა)იპ-ების თანამშრომლებზე „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ხარჯების არათანაბრობა. კერძოდ, ა(ა)იპ - „საჩხერის საცურაო აუზის“ თანამშრომლების თანამდებობრივი სარგოები დაახლოებით სამჯერ აღემატება მუნიციპალიტეტის სხვა ა(ა)იპ-ებში მომუშავე პირების თანამდებობრივ სარგოებს. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნული სხვაობა განპირობებულია იმით, რომ „საჩხერის საცურაო აუზის“ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემამდე არსებული თანამდებობრივი სარგოები შენარჩუნდა.

გადახდილი დღგ

სააუდიტო პერიოდში საჩხერის მუნიციპალიტეტის მიერ სამუშაოების შემსრულებლებისათვის გადახდილია დღგ იმ შემთხვევებშიც, როდესაც ამას არ ითვალისწინებდა კანონმდებლობა, სულ 131.1 ათასი ლარი, კერძოდ:

- 2013-2014 წლებში, მუნიციპალიტეტის ქუჩების დაგვა-დასუფთავებასა და არასაფრთხისშეცველი ნარჩენების გატანა-გაუვნებელყოფაზე გახარჯულია სულ 628.5 ათასი ლარი, მათ შორის, გადახდილი დღგ-ის თანხა შეადგენს 113.1 ათას ლარს. აღსანიშნავია, რომ 2011 წლის 20 მაისიდან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის²⁵ თანახმად, დასუფთავების ღონისძიებები განთავისუფლებულია დღგ-ისგან, ჩათვლის უფლების გარეშე. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს მაინც აუნაზღაურა დღგ-ის თანხა.

გარდა აღნიშნულისა, დღგ-ის თანხა გაცემულია ისეთ მიმწოდებელზე, რომელიც არ იყო დღგ-ის გადამხდელი, კერძოდ:

- 2013-2014 წლებში საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობას ახორციელებდა შპს „საჩხერის გარე განათება“, საერთო ღირებულებით 99.9 ათასი ლარი. აღნიშნული მომსახურების ღირებულებაში სატენდერო წინადადების მიხედვით, გათვალისწინებული იყო დღგ-ის გადასახადი. აღსანიშნავია, რომ ტენდერში გამარჯვებული კომპანია იმ პერიოდში არ იყო დღგ-ის გადამხდელი, მაგრამ

²⁵ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი.

მიუხედავად ამისა, სახელშეკრულებო თანხა გადაერიცხა სრულად, მათ შორის, დღგ-ის თანხა შეადგენდა 17.9 ათას ლარს.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად, საჩხერის მუნიციპალიტეტს უფლება ჰქონდა ტენდერი გამოეცხადებინა როგორც დღგ-ის გათვალისწინებით, ისე დღგ-ის გარეშე. „დღგ-ის გარეშე ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ხელშეკრულების დადებისას ღირებულებაში გაითვალისწინოს სატენდერო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობა, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის პრეტენდენტი არის დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად“. იმ შემთხვევაში თუ საჩხერის მუნიციპალიტეტი მოახდენდა ტენდერის გამოცხადებას დღგ-ის გარეშე, ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური სახსრები უფრო რაციონალურად დაიხარჯებოდა და ბიუჯეტი დამატებით სარგებელს მიიღებდა.

საკრებულოს დეპუტატების ანაზღაურება

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 დეკემბრის განკარგულების საფუძველზე, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებისათვის დაუწესდათ ფულადი კომპენსაცია²⁶. განკარგულების მიხედვით, ამომრჩევლებთან შეხვედრების ორგანიზების, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული კონსულტაციებისა და ტრანსპორტის ხარჯებისათვის, საკრებულოს წევრებისათვის (გარდა საკრებულოს თავმჯდომარისა) ყოველთვიურად გათვალისწინებული იყო 250 ლარი, ხოლო აღნიშნულ განკარგულებაში 2012 წლის 25 დეკემბერს შეტანილი ცვლილებით, საკრებულოს წევრებს კომპენსაცია განესაზღვრათ 400 ლარის ოდენობით. 2013-2014 წლებში საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს, ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის გარეშე, კომპენსაციის სახით „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან სულ მიღებული აქვთ 213.1 ათასი ლარი, მათ შორის, საშემოსავლო გადასახადის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილია 44.4 ათასი ლარი.

²⁶ კომპენსაციის თანხები გაცემულია შრომის ანაზღაურების მუხლიდან.

აღნიშნული გარემოება ეწინააღმდეგება „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“²⁷ მოთხოვნებს, კერძოდ, საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ; ხოლო საკრებულოს წევრი საკრებულოს სხდომებში, ან მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, ამომრჩევლებთან შესახვედრად, საკრებულოს, ან საკრებულოს თავმჯდომარის დავალებათა შესასრულებლად, საკრებულოს თავმჯდომარის ოფიციალური შეტყობინების საფუძველზე, შესაბამისი ვადით თავისუფლდება საჯარო დაწესებულებაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან საშუალო ხელფასის შენარჩუნებით და შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან აუნაზღაურდება საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გაცემული თანხები უნდა აღირიცხოს როგორც „ხარჯები“ და ჩამოიწეროს მხოლოდ ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

შრომის ანაზღაურება და საკადრო პოლიტიკა

2015 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, საჩხერის მუნიციპალიტეტში დასაქმებული იყო 193 პირი, მათ შორის, 13 შტატგარეშე. ამავე დროს, მუნიციპალიტეტში 2014 წელს მუდმივად მომუშავე თანამშრომლებიდან გათავისუფლდა 32 პირი.

2013-2014 წლებში მუნიციპალიტეტში დასაქმებულ თანამშრომლებზე გაცემულია შრომის ანაზღაურება, სულ - 4152.9 ათასი ლარი, მათ შორის, ხელფასი - 3144.8 ათასი ლარი, პრემია - 746.1 ათასი ლარი, კომპენსაცია - 215.9 ათასი ლარი, დანამატი - 46.1 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტში დანამატი გაცემულია საკრებულოს განკარგულებით²⁸, რომელიც ეფუძნება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლს. აღნიშნული კანონის შესაბამისად, დანამატის გაცემის საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელის

²⁷ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 41-ე მუხლის პირველი პუნქტი. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე მოქმედებდა საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ (32¹ და 32⁶ მუხლის მე-6 პუნქტი).

²⁸ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 დეკემბრის №72 განკარგულება.

გადაწყვეტილება, ხოლო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე არ არის სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელი. ამასთან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება მოქმედი კანონმდებლობით²⁹ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ხოლო დანამატის შესახებ განკარგულება თავისი შინაარსით არის მუდმივი და მრავალჯერადი ხასიათის. შესაბამისად, მრავალჯერადი გამოყენების აქტების გამოცემა უნდა ხორციელდებოდეს არა განკარგულების, არამედ ნორმატიული აქტის - საკრებულოს დადგენილების საფუძველზე.

2013-2014 წლებში მუნიციპალიტეტში დასაქმებულ 8 შტატგარეშე მოსამსახურეზე პრემიის სახით გაცემულია 10.0 ათასი ლარი ისე, რომ აღნიშნულის შესახებ არ იყო გათვალისწინებული მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. ამასთან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის³⁰ თანახმად, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით, გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. ფაქტობრივად კი, წარმოდგენილი ხელშეკრულებების ანალიზით გამოვლინდა, რომ მათი აყვანა ხდება მთელი წლის განმავლობაში მუდმივი ამოცანების შესასრულებლად, კერძოდ, იურისტისა და მთავარი სპეციალისტის უფლება-მოვალეობების განსახორციელებლად.

საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა

2013-2014 წლებში საჩხერის მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „დაუ“-სთან, ღირებულებით 9.6 ათასი ლარი, რომელიც ითვალისწინებდა საბიუჯეტო საკითხებზე საკონსულტაციო მომსახურების გაწევას. აღსანიშნავია, რომ იმ პირობებში, როდესაც საჩხერის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში დასაქმებულია 13 თანამშრომელი, რომელთა უფლება-მოვალეობაა საბიუჯეტო კანონმდებლობის ცოდნა და პრაქტიკაში განხორციელება, მიზანშეწონილი არ არის ანალოგიურ საკითხებზე კონსულტანტის მომსახურების შესყიდვა და ხარჯის გაწევა.

²⁹ საქართველოს ორგანული კანონი „თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე მოქმედებდა საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“. (43 მუხლის მე-3 პუნქტი).

³⁰ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი.

საჯარიმო თანხების გადახდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული აღსრულების ბიუროს 2013 წლის 2 ივლისის შეტყობინებების საფუძველზე, საჩხერის მუნიციპალიტეტმა გადაიხადა მის საკუთრებაში არსებულ მანქანაზე პარკირების წესის დარღვევისათვის რიცხული დავალიანება, სულ 160 ლარის ოდენობით (მათ შორის, ჯარიმა - 10 ლარი, საურავი - 150 ლარი).

მიზანშეწონილია, რომ სამსახურებრივი ავტომანქანებით მოძრაობის წესების დარღვევის შემთხვევაში, დარიცხული საჯარიმო თანხები გადახდილ იქნეს არა ბიუჯეტის სახსრებით, არამედ უშუალოდ წესების დამრღვევი პირების მიერ.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

საკრებულოს თავმჯდომარის ავტომობილი

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 31 ივლისის №304 ბრძანების თანახმად, შპს „საჩხერის წყალკანალმა“ მუნიციპალიტეტს ჩუქების წესით გადასცა ერთი ერთეული ავტომობილი - MITSUBISHI MONTERO. 2013 წლის 7 აგვისტოს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, ავტომობილის საბალანსო ღირებულება განისაზღვრა - 16.0 ათასი ლარით, ხოლო მასში დამონტაჟებული ბუნებრივი აირის სისტემის ღირებულება - 2.2 ათასი ლარით. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ბუნებრივი აირის სისტემის უსაფრთხოდ ექსპლოატაციის პირობებში, მუნიციპალიტეტს შეეძლო ბუნებრივი აირის შესყიდვა, რაც მნიშვნელოვნად დაზოგავდა საწვავზე გაწეულ ხარჯებს. 2013-2014 წლებში საკრებულოს თავმჯდომარის ავტომობილზე გაწეულმა საწვავის ხარჯმა შეადგინა 18.5 ათასი ლარი³¹.

ავტომანქანის ვიზუალური დათვალიერებით აღმოჩნდა, რომ სისტემაში ჩატუმბული იყო ბუნებრივი აირი. პასუხისმგებელი პირის (მძღოლის) განმარტებით მანქანის ექსპლოატაციისათვის საწვავის სახით გამოიყენება ბენზინი, ხოლო დათვალიერების მომენტში, სისტემაში არსებული ბუნებრივი აირი შეძენილი იყო მძღოლის სახსრებით და გამოყენებულ იქნა მხოლოდ ერთხელ.

³¹ 2013 წლის აგვისტოდან წლის ბოლომდე 4.4 ათასი ლარი, ხოლო 2014 წელს 14.1 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარება

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნის გათვალისწინებით, შექმნილია მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისია. აღნიშნული კომისია ხელმძღვანელობს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომლის თანახმად, დაინტერესებული პირი 2007 წლამდე უნდა ფლობდეს³² როგორც საკუთარს, ასევე თვითნებურად დაკავებულ, საკუთარს მომიჯნავე მიწის ნაკვეთს. კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის ფარგლებში, თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთების დაკანონების დოკუმენტების შესწავლით ირკვევა, რომ დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილ მოწმეთა ნოტარიალურად დამოწმებულ ჩვენებებს და საჯარო რეესტრის ამონაწერს შორის ფიქსირდება განსხვავებული მონაცემები. აღიარების დოკუმენტაციის შესწავლისას 12 შემთხვევაში მოწმეები ადასტურებენ, რომ თვითნებურად დამკავებელ პირს უფლებააღსაღიარებელი ნაკვეთი მისაკუთრებული აქვს კანონის ამოქმედებამდე, ხოლო საჯარო რეესტრის მონაცემებით საკუთარი ნაკვეთის მესაკუთრეობა დასტურდება შემდგომ პერიოდზე.

- ერთ შემთხვევაში თვითნებურად დამკავებელ პირს 2011 წელს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის მიერ საკუთრებაში არსებული 400 კვ.მ მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ აუღიარდა 380 კვ.მ მიწა. 2013 წელს კი მას 780 კვ.მ-ის (ზემოაღნიშნული 2 ნაკვეთი გააერთიანა) მომიჯნავედ კვლავ დაუკანონდა 770 კვ.მ მიწის ფართობი. დარღვეულია ზღვრული ოდენობის პრინციპი, კერძოდ, ფიზიკური პირის მიერ თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის ფართობი ნაკლები უნდა იყოს კანონის ამოქმედებამდე³³ მის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობზე.

³² „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტის მოთხოვნა.

³³ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონი.

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წერილობითი ახსნა-განმარტებით ირკვევა, რომ აღიარებითი კომისია ეყდნობოდა მხოლოდ მოწმეთა ნოტარიალურად დამოწმებულ ჩვენებებს და არ ითვალისწინებდა საჯარო რეესტრის მონაცემებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს რისკი იმისა, ზემოთ დაფიქსირებული 13 მიწის ნაკვეთის აღიარება და საკუთრების მოწმობათა გაცემა მოხდა ხარვეზით.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურას შესასწავლად ამოღებული აქვს აღიარებითი კომისიის მიერ 2013 წელს დაკანონებული 27 მიწის ნაკვეთის დოკუმენტაცია. შედეგად, აუდიტის ჯგუფს არ მიეცა საშუალება, რომ შეესწავლა აღნიშნული დოკუმენტაცია.

წარმომადგენლობითი ხარჯები

2013-2014 წლებში საჩხერის მუნიციპალიტეტმა წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლიდან სტუმრების მასპინძლობისა და სხვადასხვა საბანკეტო მომსახურების შესყიდვის მიზნით გასწია 44.0 ათასი ლარის ხარჯი. კერძოდ, 2013 წელს - 27.7 ათასი ლარი, 2014 წელს - 16.3 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ დანახარჯის 95%-ს შეადგენს ფართო მასშტაბიანი საბანკეტო ღონისძიებები, რომელთა განხორციელების აუცილებლობა მუნიციპალიტეტის მხრიდან ვერ იქნა დასაბუთებული. მაგალითად, 2013 წელს საჩხერის მუნიციპალიტეტმა საფეხბურთო კლუბ „ჩიხურას“ ფეხბურთელებთან შეხვედრის მონაწილეთათვის გამართულ ვახშამზე (220 ადამიანი), გადაიხადა 7.6 ათასი ლარი; ბათუმისა და საჩხერის მუნიციპალიტეტებს შორის გაფორმებული მემორანდუმის ღონისძიებების მონაწილე პირთათვის (80 ადამიანი) სარესტორნო მომსახურებაზე მუნიციპალიტეტმა 2013 წელს გასწია 2.9 ათასი ლარის ხარჯი. ასევე ხშირია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ფარგლებში მოწვეულ სტუმართა მასპინძლობის შემთვევებიც. მაგალითად, 2 შემთხვევაში - სპორტული ტურნირის მონაწილეებისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების (90 ადამიანი) საბანკეტო მომსახურებაზე გადახდილია 3.5 ათასი ლარი.

არსებული ფინანსური რესურსის განაწილების პროცესში ხარჯების დაგეგმვისას, გამგეობის შესაბამისმა სამსახურებმა მიზანშეწონილია გაითვალისწინონ ის პრიორიტეტები, რომლებიც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად იქნება მიმართული.

საახალწლო ილუმინაციების მოწყობის სამუშაოები

საჩხერის მუნიციპალიტეტში 2013-2014 წლებში საახალწლო ილუმინაციების მოწყობის სამუშაოები შეასრულა ა(ა)იპ „საჩხერის კეთილმოწყობამ“, ღირებულებით 27.4 ათასი ლარი³⁴. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შესაბამისად, ზემოხსენებული სამუშაოები ექვემდებარება ელექტრონული ტენდერის ან გამარტივებული შესყიდვის გზით შეძენას. მიუხედავად ამისა, საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობამ აღნიშნული სამუშაოების დაფინანსება მოახდინა სუბსიდირების გზით.

მასმედია და ჟურნალ-გაზეთების შეძენა

2013-2014 წლებში საჩხერის მუნიციპალიტეტის მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის პრესის მომსახურებაზე, კერძოდ, საკანონმდებლო აქტებისა და მუნიციპალიტეტის შესახებ სტატიების გამოსაქვეყნებლად გახარჯულია - 47.2 ათასი ლარი³⁵, ხოლო ჟურნალ-გაზეთების შეძენაზე - 7.4 ათასი ლარი.

➤ 2013 წლის 8 იანვარს საჩხერის მუნიციპალიტეტსა და ასოციაცია „მასმედია“ შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენდა მუნიციპალიტეტის მიერ ასოციაცია „მასმედიის“ ხარჯების დასაფინანსებლად სუბსიდიის სახით 35.0 ათასი ლარის გადაცემა. გაფორმებული ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული კონკრეტული საქმიანობა ან ღონისძიება, რომელსაც უნდა მოხმარებოდა გაცემული თანხა, ხოლო დანართი ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულია მხოლოდ ასოციაციის თანამშრომლების შრომის ანაზღაურებისა და ეკონომიკური კლასიფიკაციით გათვალისწინებული ხარჯები.

აღსანიშნავია, რომ გაცემული თანხის 87%-ს შეადგენს შრომის ანაზღაურება, ხოლო ასოციაციის 2013 წლის საშტატო განრიგი და შრომის ანაზღაურების ფონდი

³⁴ 2013 წელი - 15.0 ათასი ლარი, 2014 წელი - 12.4 ათასი ლარი.

³⁵ 2013 წელს - 35.0 ათასი ლარი, 2014 წელს - 12.2 ათასი ლარი.

დამტკიცებულია საკრებულოს თავმჯდომარის მიერ, რაც არ წარმოადგენდა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის პრეროგატივას. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ასოციაცია გამოსცემდა გაზეთს, რომელშიც ქვეყნდებოდა სტატიები მუნიციპალიტეტზე.

➤ 2014 წლის 25 მარტს საჩხერის მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „ჩიხურასთან“³⁶, ღირებულებით 12.2 ათასი ლარი. ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელი გამოსცემდა გაზეთს, რომელშიც უნდა დაბეჭდილიყო მუნიციპალიტეტის შესახებ ინფორმაცია და საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები, რისთვისაც მას ყოველთვიურად უნაზღაურდებოდა საშუალოდ 1.4 ათასი ლარი. მიმწოდებლის განმარტებით, შპს „ჩიხურას“ გაზეთის გამოცემისათვის ხელშეკრულება ჰქონდა დადებული შპს „პოსტსკრიპტუმთან“ და ამ მომსახურების გასაწევად მას უხდიდა თვეში მხოლოდ 0.24 ათას ლარს. სხვაობამ მიმწოდებელსა და ქვეკონტრაქტორზე ანაზღაურებულ თანხებს შორის შეადგინა 10.0 ათასი ლარი. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მიერ გაზეთის შესაძენად გადახდილი თანხა მოიცავდა დამატებული ღირებულების გადასახადს, ხოლო საქართველოს საგადასახადო კოდექსის³⁷ თანახმად, ჟურნალ-გაზეთების მიწოდება/მომსახურება გათავისუფლებულია დღგ-ის გადასახადისგან.

➤ 2013 - 2014 წლებში საჩხერის მუნიციპალიტეტმა გამარტივებული შესყიდვის გზით ხელშეკრულება გააფორმა სს „საქპრესასთან“³⁸, საერთო ღირებულებით - 7.4 ათასი ლარი, რომელიც ითვალისწინებდა შემსყიდველისათვის ყოველკვარტალურად შემდეგი ჟურნალ-გაზეთების მიწოდებას: „ლელო“, „ასავალ-დასავალი“, „კვირის პალიტრა“, „24 საათი“, „ლიტერატურული პალიტრა“, „ალია“, „სარკე“, „თბილისელები“ და სხვ. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, აღნიშნული ჟურნალ-გაზეთების შეძენა არ წარმოადგენდა აუცილებლობას. შესაბამისად, მიზანშეწონილია, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ თავი შეიკავოს მსგავსი საქონლის შეძენისაგან და გაითვალისწინოს ის პრიორიტეტები, რომლებიც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად იქნება მიმართული.

³⁶ 2014 წლის N41 ხელშეკრულება.

³⁷ 168-ე მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

³⁸ 2012 წლის ხელშეკრულება №119 და 2013 წლის ხელშეკრულება №102.

უსასყიდლოდ მიღებული და გამოუყენებელი გაბიონის მავთულბადე

საჩხერის მუნიციპალიტეტსა და ს(ს)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას“ შორის 2013 წლის 1 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში საჩხერის მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ გადაეცა 19.9 ათასი ლარის ღირებულების მოთუთიებული მავთული და მავთულბადე (ე.წ. „გაბიონის რულონი“). ხელშეკრულების თანახმად, ქ. საჩხერეში გაბიონების მშენებლობა და მდინარეზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება უნდა დასრულებულიყო არა უგვიანეს 2013 წლის 25 ნოემბრისა.

საჩხერის მუნიციპალიტეტს, მიუხედავად ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებებისა, 2013 წლის 1 ნოემბრიდან წლის ბოლომდე არ განუხორციელებია ნაპირსამაგრი სამუშაოები, ხოლო 2014 წელს განახორციელა 8 ერთეული გაბიონისა და ნაპირსამაგრი სამუშაოების შესყიდვა³⁹. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მასალები არც ერთი შესყიდვის დროს არ ყოფილა გამოყენებული. გადმოცემული მასალების მიზნობრივად გამოყენება მუნიციპალიტეტს მისცემდა 19.9 ათასი ლარის ეკონომიას. აღნიშნული მასალები დღემდე ისევ დასაწყობებული და გამოუყენებელია. შედეგად მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ვერ სარგებლობს იმ სიკეთით, რომელიც უნდა მიეღო გადმოცემული მატერიალური აქტივის გამოყენებით.

დაუსაბუთებლად გაანგარიშებული ღირებულება.

დაგვა-დასუფთავების მომსახურება

2013 წელს საჩხერის მუნიციპალიტეტის ქუჩების დაგვა-დასუფთავებას ახორციელებდა შპს „საჩხერის კეთილმოწყობა“, ღირებულებით - 181.5 ათასი ლარი, ხოლო 2014 წელს შპს „ემ სი ჯგუფი“, ღირებულებით - 130.0 ათასი ლარი.

აღნიშნული მომსახურების შესყიდვა მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმებით, რომლის სავარაუდო ღირებულების გაანგარიშება მოწოდებული დოკუმენტების მიხედვით ხდება შემდეგი კრიტერიუმის გათვალისწინებით, კერძოდ: დასაგველ 1კვ. მ-ზე გათვალისწინებულია 0.1814 ლარი.

³⁹ მათ შორის: 6 გამარტივებული შესყიდვაა, ხოლო 2 - ელექტრონული ტენდერი.

- 2013 წელს დასაგველ 1 კვ.მ-ზე გადახდილია 0.1814 ლარი, დასაგველი ფართის მთლიანი მოცულობა შეადგენდა 88000 კვ.მ-ს².
- 2014 წელს დასაგველ 1 კვ.მ-ზე გადახდილია 0.1326 ლარი⁴⁰. სულ დასაგველი ფართობი შეადგენდა 89078 კვ.მ-ს.

2014 წელს დასაგველი საერთო ფართობი 2013 წლის მონაცემებთან შედარებით გაზრდილია 1078 კვ.მ-ით, ხოლო გაწეული ხარჯი შემცირებულია 51.5 ათასი ლარით. ხელშეკრულების დანართ ხარჯთაღრიცხვებში არ არის გამოკვეთილი ზედნადები ხარჯები და გეგმური დაგროვება, შედეგად არ არის დადგენილი რამდენ პროცენტს შეადგენდა აღნიშნული ხარჯები.

მუნიციპალიტეტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი სარწმუნო მტკიცებულებები, თუ რის საფუძველზე დადგინდა არსებული ფასების კოეფიციენტები, ხოლო პასუხისმგებელი პირების განმარტებით, მომსახურების ღირებულების გაანგარიშება ნაწარმოებია წინა წლებში არსებული ფასების მიხედვით.

არასაფრთხისშემცველი ნარჩენების გატანა

2013-2014 წლებში საჩხერის მუნიციპალიტეტში არასაფრთხისშემცველი ნარჩენების გატანის მომსახურებას ახორციელებდა შპს „საჩხერის კეთილმოწყობა“, საერთო ღირებულებით - 317.0 ათასი ლარი. სავარაუდო ღირებულების გაანგარიშება მოწოდებული დოკუმენტების მიხედვით განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმის გათვალისწინებით, კერძოდ;

- 2013 წელს გასატანი ნარჩენების რაოდენობა თვეში შეადგენდა 1650 კუბ.მ-ს, 1 კუბ.მ ნაგვის გატანის ღირებულებამ შეადგინა 7.50 ლარი. სულ მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 148.5 ათასი ლარი.
- 2014 წელს გასატანი ნარჩენების რაოდენობა თვეში შეადგენდა 2000 კუბ.მ-ს, 1 კუბ.მ ნაგვის გატანის ღირებულებამ შეადგინა 7.02 ლარი. სულ მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 168.5 ათასი ლარი.

⁴⁰ ფასი შემცირებულია ვაჭრობის შედეგად.

2014 წელს მომსახურებას დაქვემდებარებული ტერიტორიების მოცულობა შემცირებულია, კერძოდ, ამოღებულია ქ. საჩხერეში ქუჩების, სკვერებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავების შედეგად შეგროვებული ნაგვის გატანის ვალდებულება. მიუხედავად აღნიშნულისა, გასატანი ნაგვის მოცულობა გაზდილია, თვეში - 350 კუბ.მ-ით, ხოლო მთლიანი ღირებულება - 20.0 ათასი ლარით.

ხელშეკრულების დანართ ხარჯთაღრიცხვაში კომპონენტების მიხედვით⁴¹ არ არის ჩაშლილი ნაგვის გატანის მომსახურებაზე გათვალისწინებული ხარჯი, ასევე არ მოიცავს გეგმური დაგროვებისა და ზედნადები ხარჯების პროცენტულ მაჩვენებლებს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის შესაბამისმა სამსახურებმა ვერ დააკონკრეტეს, თუ რისგან შედგება 1 კუბ.მ ნაგვის გატანის ღირებულების კოეფიციენტი. შედეგად, აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვამს მოსაზრებას, რამდენად შეესაბამება გახარჯული თანხა გაწეულ მომსახურებას.

გარე განათების მომსახურება

2013-2014 წლებში საჩხერის მუნიციპალიტეტს, ქ. საჩხერესა და მუნიციპალიტეტის სოფლებში გარეგანათების ქსელის ტექნიკური მომსახურებისათვის, ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს შპს „საჩხერის გარეგანათებასთან“ საერთო ღირებულებით - 99.9 ათასი ლარი⁴². აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებების დანართ №1 ხარჯთაღრიცხვაში (მოიცავს მხოლოდ ტექნიკურ მოვლას) მომსახურების ფასები დაფიქსირებულია ზოგადად, წლის განმავლობაში გასაწევ მომსახურებაზე მთლიანი ფასის მითითებით, ხოლო დანართ №2 ხარჯთაღრიცხვაში წარმოდგენილია წლის განმავლობაში სავარაუდოდ შესაცვლელი სანათებისა და მოწყობილობების რაოდენობა შესაბამისი ღირებულებებით, რაც ათვისებულია სრულად, დაგეგმილის შესაბამისად. ხარჯთაღრიცხვებში არ არის გამოკვეთილი ზედნადები ხარჯები, გეგმური დაგროვებისა და დღგ-ის⁴³ თანხები.

მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების მიერ ვერ იქნა დასაბუთებული, თუ რა კრიტერიუმებით განხორციელდა გარეგანათების ქსელის მომსახურების

⁴¹ საწვავის, ტრანსპორტის, ხელფასის და სხვა ხარჯები.

⁴² 2013 წელს - 42.0 ათასი ლარი, 2014 წელს - 57.9 ათასი ლარი.

⁴³ გარეგანათების მომსახურებაზე გამოცხადებული ტენდერები გამოცხადებულია დღგ-ის გათვალისწინებით.

მთლიანი ღირებულების გაანგარიშება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შპს „საჩხერის გარეგანათების“ დირექტორმა 2013 წლის 6 დეკემბერს წერილით მიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს იმ მოთხოვნით, რომ 2014 წელს გარეგანათების მომსახურების ტენდერის სავარაუდო ღირებულება 42.0 ათასი ლარიდან გაზრდილიყო 50.0 ათას ლარამდე. ღირებულების ზრდის მიზეზად დასახელებულია შპს-ის საკუთრებაში მიღებული ახალი სპეციალური ავტომატური ექსპლოატაციის ხარჯი, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 85 ერთეული ლამპიონისა და სოფელ ჭორვილის გარეგანათების ქსელის დამატება. შედეგად, მუნიციპალიტეტის გარეგანათების მოვლა-პატრონობის ღირებულებამ 2014 წელს შეადგინა 50.0 ათასი ლარი, ხოლო სოფელ ჭორვილის გარეგანათების ქსელის მოვლა-პატრონობაზე, რომელიც შპს-ის დირექტორის წერილის თანახმად უნდა შესულიყო მთლიან ღირებულებაში, 2014 წლის მაისში გამოცხადდა ცალკე ტენდერი, რომელშიც გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „საჩხერის გარეგანათება“, ღირებულებით - 7.9 ათასი ლარი.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, საჩხერის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების განმავლობაში გაწეული საქმიანობა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

წამყვანი აუდიტორი:


ბადრი ჯანჯღავა



ხელმოწერა 18.05.2015 თარიღი

აუდიტორი:

ასმათ ლილუაშვილი



ხელმოწერა 18.05.2015 თარიღი

აუდიტორი

ზურაბ ტუსკაძე



ხელმოწერა 18.05.2015 თარიღი

აუდიტორი

ლალი ამბროლაძე



ხელმოწერა 18.05.2015 თარიღი

აუდიტორ- ასისტენტი

ნატალია სადარეიშვილი



ხელმოწერა 18.05.2015 თარიღი

აუდიტორ- ასისტენტი

ირაკლი კოხრეიძე



ხელმოწერა 18.05.2015 თარიღი